



ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება #355

12 ნოემბერი 2019 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2014 წლის 20 იანვრის N216 დადგენილებით დამტკიცდა თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 141-ე მუხლის 11-ე ნაწილის თანახმად, 2019 წლის 3 ივნისამდე დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას, თუმცა 2019 წლის 3 დეკემბრამდე უნდა განხორციელდეს ასეთი გეგმების კოდექსისა და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მოქმედი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შემუშავებულ იქნა ქალაქ რუსთავის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დადგენილების პროექტი. აღნიშნული პროექტით ხდება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გენერალურ გეგმასთან და განაშენიანების გეგმასთან შესაბამისობაში მოყვანა, კონცეპტუალური გადაწყვეტების შეცვლის გარეშე, კერძოდ, ცვლილებების შედეგად არ იზრდება ჯამური განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი (კ2), სართულიანობა ან/და საცხოვრებელი ფონდის სიმჭიდროვე, რაც საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცითი დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, წარმოადგენს არაარსებითი ცვლილებას.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გენერალური გეგმის განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ურთიერთდამოკიდებულ, მაგრამ ადმინისტრაციული წარმოების თვალსაზრისით დამოუკიდებელ ორ სტადიად: ა) I სტადია – გენერალური გეგმის კონცეფციის განხილვა და დამტკიცება; ბ) II სტადია – გენერალური გეგმის განხილვა და დამტკიცება, ხოლო ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობით გეგმებში ცვლილება შეიტანება ახალი გეგმების შემუშავებისა და დამტკიცებისათვის დადგენილი წესით. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 42-ე მუხლის მე-10 ნაწილის თანახმად, გენერალურ გეგმაში არაარსებითი ცვლილების შეტანის შემთხვევაში I სტადია არ ხორციელდება. აღნიშნული წესი ასევე ვრცელდება განაშენიანების გეგმის დამტკიცებაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 42-ე მუხლის, 43-ე მუხლის და 141-ე მუხლის მე-11 ნაწილის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის N260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მე-16 და 20-ე მუხლების საფუძველზე, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. დაწყებულ იქნეს ადმინისტრაციული წარმოება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის პროექტის განხილვისა და დამტკიცების მიზნით;
2. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერს დაევალოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის პროექტის საჯარო განხილვის (ზეპირი მოსმენის ჩატარებით ან/და ელექტრონული ფორმით), სხვა ადმინისტრაციული ორგანოების ჩართვის და აღნიშნულის საფუძველზე, საბოლოო პროექტის შემუშავების უზრუნველყოფა;
3. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში (რუსთავი, ბოსტან–ქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ლევანი ონიანი

საკრებულოს თავმჯდომარე